ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 1 თებერვალი ხუთშაბათი

№14 (6241) ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

## პირუტყვს — ნორმალური გამოზამთრება

უკვე დასრულდა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი თვე. მართალია, ჯერჯერობით ზამთარზე მაინცდამაინც სამდურავი არ გვეთქმის, მაგრამ ზამთარი მაინც ზამთარია, მით უფრო მთაში და მეტად პასუხსაგები ამოცანის წინაშეა სოფლის მეურნეობის მშრომელები, განსაკუთრებით კი მეცხოველეები.

პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება მოითხოვს ფერმის მექანიზმების გამართულ მუშაობას, თითოეული კილოგრამი საკვების ეფექტიანად, მომჭირნეობით გამოყენებას, სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, კოლექტიური და ინდივიდუალური იჯარის გამოყენებას. ამ დროს საჭირო და აუცილებელია წესრიგი ყველგან და ყველაფერში, პირუტყვის მოვლა-შენახვისა და მომსახურე პერსონალისათვის სანიმუშო პირობების შექმნა.

გასულ წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ფართო მუშაობა გაიშალა მეცხოველეობაში იჯარული ფორმების დასანერგავად. მაგრამ მხოლოდ ოთხი საზოგადოებრივი მეურნეობა — ლაილაშის, ლაჯანის, ღვირიშის კოლმეურნეობებისა და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმები გადავიდა შრომის ორგანიზაციის ამ ახალ ფორმაზე, მაგრამ წლის ბოლოს, ნაცვლად დადებითი შედეგებისა, არადამაკმაყოფილებელი შედეგებია მიღებული, იჯარაზე გადასულ არც ერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში შესრულებული არა აქვთ ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები. ხოლო მათგან ლაილაშის კოლმეურნეობას და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ. ხორცის დამზადების წლიური გეგმა აღნიშნულ კოლმეურნეობაში 51 პროცენტით შეასრულეს, რძის დამზადების წლიური გეგმა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში კი — 52 პროცენტით.

თითქმის ყველა სოფელში, საზოგადოებრივ მეურნეობაშია საიჯარო შრომაში ჩაბმული ოჯახები, რომლებიც მეცხოველეობის ფერმიდან გამოყვანილ პირუტყვს უვლიან. ნაწილობრივ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შედარებით ნაკლები ყურადღება მიექცა მეცხოველეობის ფერმაში დარჩენილი პირუტყვისათვის საკვების დამზადებას, რადგან პირადი მეურნეობის პირუტყვისათვის საკვების დამზადებაზე გადაიტანეს მოიჯარეებმა ყურადღება და ფერმები ზოგან უსაკვებოდ დარჩა. რაიონში გეგმით გათვალისწინებული 5200 ტონა თივის, 3000 ტონა ჩალის, 2100 ტონა სილოსის ნაცვლად დამზადებული იქნა 3494 ტონა თივა, 2585 ტონა ჩალა, ხოლო სილოსი — 110 ტონა. რაიონის რიგ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა პირუტყვის ბაგურ კვებაზე გადასვლის შემდეგ დაიწყეს რაიონს გარეთ საკვების შეძენისათვის ზრუნვა, რაიონში არსებულმა საკვებმოპოვების საწარმომ ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია და გასულ წელს არც საზოგადოებრივი და არც საკარმიდამო მეურნეობის პირუტყვისათვის საკვები საერთოდ ვერ შემოიტანა, რამაც დიდი სიძნელეები შექმნა ორივე სექტორში.

როგორც აღვნიშნეთ, ამინდებზე სამდურავი არ გვეთქმის, საქმისადმი მეტი გულშემატკივრობა, თანადგომაა საჭირო, რომ მოიჯარე კოლექტივებმა თუ ოჯახებმა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან უყურადღებობა არ იგრძნონ, დავარწმუნოთ ისინი, რომ საზრუნავი ერთია და ერთიანი ძალით უნდა ილვაწონ აუცილებელ საკითხთა გადაჭრისათვის. რისთვისაც საჭიროა საქმის ორგანიზებულად წარმართვა, ხელიხელჩაკიდებული მუშაობა რიგითი მეცხოველიდან დაწყებული, მეურნეობის ხელმძღვანელამდე.

მეცხოველეობა რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და დღეს, როცა საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, გონივრულად გავიაზროთ რესპუბლიკაში, რაიონში მიმდინარე პროცესები, ვიმოქმედოთ აქტიურად და თითოეულმა ვაკეთოთ ის, რაც რესპუბლიკის და რაიონის ხვალინდელ დღეს სასიკეთოდ წაადგება.

## ხუთწლედის მოწინავენი



ალპანის სამკერვალო საწარმოში ორი ბრიგადა მუშაობს. №1 ბრიგადა მამაკაცის ქურთუკს კერავს, ხოლო №2 ბრიგადის მკერავები ჯერჯერობით ძველ მოდელზე—ქალის პალტოს შეკერვაზე არიან დაკავებული და მალე ისინიც მამაკაცის ქურთუკის შეკერვაზე გადავლენ, რაც საწარმოს ახალი მოდელია.

საამქროს მკერავები სხვადასხვა ოპერაციაზე მუშაობენ, რიტა ყურაშვილი მამაკაცის ქურთუკის სახელოს ჩაკერების ოპერაციას ასრულებს.

— თუკი რამ კარგი შეიძლება ითქვას ქალზე, დედაზე, ადამიანზე, ზედგამოჭრილი სწორედ მასზეაო,—გვითხრეს ალპანის სამკერვალო საწარმოს ხელმძღვანელებმა საწარმოს გამოცდილ მკერავზე, ორი შვილის დედასა და ოთხი შვილიშვილის ბებიაზე რიტა ყურაშვილზე. თითქმის საწარმოს დაარსებიდან მუშაობს ეს გამოცდილი ქალი აქ და ამ ხნის მანძილზე ყოველთვის პირნათლად ასრულებს ყოველგვარ დავალებებს, საწარმო მისი მეორე ოჯახია და ოჯახის საქმეზე ნაკლებად როდი ზრუნავს საწარმოს ყოველდღიურობაზე, მის საქმე-საკეთებელზე.

რიტა ყურაშვილი 110-120 პროცენტით ასრულებს ყოველთვიურ საგეგმო დავალებას, ყოველთვის გამსწრები ტემპით მუშაობს, უკვე განაღდებული აქვს იანვრის გეგმა და ახლა თებერვლის ანგარიშში შრომობს.

სურათზე: რიტა ყურაშვილი მუშაობის დროს.

ზ. გზობავას ფოტო.

## მამულის სასიკეთოდ იღწვიან

ახლა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნათელ გზაზე, ისეთი საქმის კეთებაა მთავარი, რაც უპირველესად მამულიშვილურია, პირადულზე მაღალ და ნამდვილ საქვეყნო საქმედ იწოდება.

— ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა ირჯებოდეს კიდეც — არ შეიძლება დიდი ილიას ეს სი-

### ოჯახი

ტყვები არ გაგახსენდეს, როცა ბარდნალელი რამინ ყურაშვილის ოჯახს ესტუმრები. ოჯახის დედამ, ქალბატონმა ქეთომ და რამინმა ოთხი შვილი გაზარდეს და ახლა შვილიშვილების სიმრავლეა ოჯახში. თვით რამინ ყურაშვილი კოლმეურნეობის მძღოლია, როცა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში იჯარა დაინერგა, მშრომელმა კაცმა შრომის ხელსაყრელ ფორმად დაინახა იგი და მეცხოველეობის ფერმიდან ერთი მეწველი და ორი მოზარდი გაიყვანა ოჯახურ პირობებში მოსავლელად, 5 სულამდე პირუტყვი თავისი ჰყავთ. როგორც სხვები, საკარმიდამო მეურნეობასთან ერთად ისინიც უვლიან კოლმეურნეობის ზვარს და სიმინდის ყანას, პირნათლად იხდიან თავის ვალს ქვეყნის წინაშე, კოლმეურნეობას სიმინდიც და ლობიოც ჩააბარეს, თვითონაც იმდენი დარჩათ, რამდენიც ყურაშვილების მრავალსულიანი ოჯახისათვის სავსებით საკმარისია როგორც საკვებად, ასევე პირუტყვის გამოსაზამთრებლად.

ოჯახში წესრიგია, ყველას თავისი საქმე აქვს. ყოველგვარ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ, აბრეშუმის პარკის დამზადებაშიც არ ჩამორჩნენ სოფლის მოწინავე მეაბრეშუმეებს. 56 კილოგრამი ყველი ჩაბარდა აღნიშნული ოჯახიდან გასულ წელს დამამზადებელ პუნქტს. ახლა ხორცს აღარ იკითხავთ? 6 ტონა ხორცი მიეყიდა ყურაშვილების ოჯახიდან სახელმწიფოს. და სწორედ ეს და, საერთოდ ოჯახის აქტიური მონაწილეობა საკოლმეურნეო საქმიანობაში, საქმისადმი ერთგულება და ავტორიტეტი გახდა საფუძველი იმისა, რომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ მათ ავტომანქანა ჟიგული გამოუყო ურიგოდ.

ასეთი ზნეკეთილი, სულით ამაღლებული და ერთგულებით სავსე ოჯახები სჭირდება დღეს ჩვენს სალოცავ და მტრებმომრავლებულ საქართველოს, რომელიც წინაპართა „ჭირსა შიგან გამაგრების“ ხმამ უნდა გადაარჩინოს.

ვ. ჩარკვიანი.

## ვულოცავთ

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ეწყობა პროფესიაში საუკეთესო სახელისათვის შეჯიბრება-კონკურსი, რომლის დროსაც პირველი ხუთწლედების გმირთა და საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანთა სახელობის პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით ჯილდოვდებიან აგროსამრეწველო კომპლექსის მოწინავენი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ეკონომიკის განვითარების დაჩქარების, ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის გაჩაღებულ დიდ ბრძოლაში.

გასულ წელს, წინა 1988 წლის შედეგების შეჯამებისას შეჯიბრება-კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ და ვეტერანთა სახელობის პრიზებით დაჯილდოვდა რესპუბლიკის მშრომელთა ერთი ჯგუფი, რომელთა შორისაა — ლაჯანის კოლმეურნეობის მევენახე **გრიშა სამსონის ძე ლეშკაშელი.** იგი დაჯილდოებულია მიხეილ მექვევრიშვილის სახელობის პრიზით.

ვულოცავთ გრიშა ლეშკაშელს რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებას და კვლავ ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის ბიჯები

# რაიკომის ინიციატივა

დნეპროპეტროვსკის ოლქის კრინიჩანსკის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დამოუკიდებლობის სტატუსი მოიპოვეს ადგილობრივი პარტიის რაიკომის ძალისხმევით, რომელმაც ისინი გაათავისუფლა იმის აუცილებლობისაგან, რომ თავიანთი საქმიანობა აუცილებლად შეეთანხმებინათ აგრომრეწვის ხელმძღვანელ ორგანოებთან.

გადაწყვიტა რა გზა გაეხსნა ადგილობრივი ინიციატივებისათვის, რომელთაც წინათ ხელფეხს უბორკავდა უწყებრივი დიქტატი, რაიკომმა საკუთარი ძალებით დაიწყო მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებათა ძიება. ამ მიზნით ჩამოაყალიბა საინიციატივო საძიებო ჯგუფი, რომელიც შეუდგა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მსგავს გამოცდილებათა შესწავლას.

—უმალვე იგრძნეს საოლქო აგრომრეწვის მძლავრი საწინააღმდეგო მოქმედება,—ამბობს პარტიის რინიჩანსკის რაიკომის მდივანი ვ. ზელენკო.—თითქმის წელიწადნახევარი დასჭირდა ოფიციალური ნებართვის მიღებას იმაზე, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მაგიერ შექმნილიყო აგროსამრეწველო კოოპერატიული გაერთიანება სრული ავტონომიის საფუძველზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის დახმარებით შესაძლებელი გახდა საქმეში მაინც ჩაებათ საოლქო აგრომრეწვი. მაგრამ „ზევიდან“ დახმარებაც საკმარისი არ იქნებოდა, რომ რაიკომს „ქვევიდან“ არ დაეჭირა მხარი. ყველა პარტორგანიზაციაში გაიმართა აღნიშნული საკითხის განხილვა, საერთო ხაზი კი რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე შეიმუშავეს. გაზეთის რედაქციაში დაიწყო შემოსვლა კოლმეურნეთა წერილებმა, რომელშიც მოითხოვდნენ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების გაუქმებას და ამას არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების გაუქმების შემდეგ კოლმეურნეობათა მუშაობის გაძღოლა თავისთავზე აიღო კოოპერატიული გაერთიანების გამგეობამ. იგი არავის არაფერს უწესებს, არამედ მუშაობას წარმართავს საერთო ამოცანების გადასაწყვეტად; რეკომენდებულია, მაგალითად, აშენდეს ზეგეგმითი პროდუქციის გადასამუშავებელი საამქრო. სახსრები უკვე ჩნდება. დამოუკიდებლობის მიღების წყალობით ხომ წელიწადნახევრის განმავლობაში მეურნეობებმა დამატებით ხუთ მილიონ მანეთზე მეტი სუფთა შემოსავალი მიიღეს. პარტიის რაიკომის ინიციატივით შეიქმნა ურთიერთდახმარების ცენტრალიზებული საფინანსო ფონდი. მისი დახმარებით, მაგალითად, კოლმეურნეობა „პროგრესმა“ 600 ათასი მანეთი თავისუფალი თანხა გამოყო ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საწარმოო ბაზის რეკონსტრუქციისათვის. ამავე დროს რამდენჯერმე შემცირა სპეციალისტთა რიცხვი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შედარებით, გაერთიანების გამგეობა შეუდგა ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვას. ამის შედეგად რაიონის მიწათმოქმედები პირველები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ორჯერ შეამცირეს ჰერბიციდების გამოყენება, და ამით ასიათასობით მანეთი დაზოგეს.

დღეს რაიკომი კოლექტივების მუშაობას წარმართავს გარდაქმნის გასაღრმავებლად. ექსპერიმენტის სახით კოლმეურნეობა „ზარია კომუნიზმაში“ ყველა საწარმოო ქვეგანაყოფი დამოუკიდებელ კოოპერატივებად გარდაიქმნა. გლეხებმა ფართო შესაძლებლობანი მიიღეს დამოუკიდებლობის, ყაირათიანობისა და ინიციატივების გამოსავლენად.

პარტიის რაიკომს ახლა აღარ სჭირდება მეურნეთა მუშაობის ყველა დეტალში ჩაერიოს,—ამბობს ვ. ზელენკო,—მითუმეტეს, შეცვალოს ისინი. ამიტომ ახლა უკვე შესაძლებელი ხდება პარტიული მუშაობა ძირითადად წარიმართოს კადრების მოსამზადებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარდაქმნის წინსვლას.

**ს. სკირკო.**

საკდესის კორ.

## ახალი კომისიის მთავარი ამოცანა

ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებს შორის აზრებისა და იდეების გაცვლას, ხალხების ისტორიულ-კულტურული ტრადიციების გაცნობას, პატივი სცენ კაცობრიობის მორალურ ღირებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანებს უკეთ გაუგონ ერთმანეთს, —ასეთია საქართველოში შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციის კომისიის „ქვეყნად მშვიდობისა და თანხმობისათვის“ მთავარი ამოცანები.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ქვეყნად მშვიდობისა და თანხმობისათვის“ შეიქმნა საფრანგეთში ათი წლის წინათ და შედის დასავლეთის ქვეყნებში პოპულარული „როტარი ინტერნეიშნლის“ კლუბის შემადგენლობაში. მას აქვს კავშირურთიერთობა იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, პორტუგალიის ახალგაზრდობასთან, მათ შორის სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტთან. ორმხრივი ხელშეკრულებით საქართველოს კომისია მასში ცალკე იქნება წარმოდგენილი.

### ჩვენ გვწერენ

## მანანა ექიმი

ამ წერილში მინდა მოგითხროთ ერთ ახალგაზრდა ექიმზე, ვინც ჩვენს სიცოცხლეს უდგას დარაჯად, ვინც თავისთავს არ ეკუთვნის, ვისთვისაც ჯერ ავადმყოფი არსებობს, შემდეგ ოჯახი, მეგობრები და სხვა დანარჩენი.

მანანა ნემსწვერიძე 5 წელია მუშაობს ლასურიაშის საექიმო პუნქტში. ამ ხნის მანძილზე მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა სოფლის მშრომელებში.

ბევრი შრომა უწევს მანანას, იოლი ხომ არაა სამ სოფელს ემსახურო. მას ხშირად რამდენიმე კილომეტრზე უხდება ფეხით მისვლა, მაგრამ მაინც დაუზარელად ილებს ყველა გამოძახებას, იცის, რომ ავადმყოფები ელიან, უნდა გასინჯოს, წამალი გამოუწეროს, დააიმედოს. წამლის მიღების შემდეგ ისევ შეუვლის ავადმყოფს, გამოჰკითხავს წამლის მოქმედების შედეგს, დაარიგებს, დარწმუნდება რა მდგომარეობის გაუმჯობესებაში, მხოლოდ ამის შემდეგ წამოვა.

გასინჯვა ისე გულმოდგინედ იცის, რომ მისი დასმული დიაგნოზი ყოველთვის ზუსტია.

—შესანიშნავი ადამიანია მანანა ექიმი, ისე გვექცევა და გვესაუბრება, უწამლოდაც მოგვარჩენს.

— რა კარგი ექიმია!

— მარტო მისი ყურადღება მოგვარჩენს, — ამბობენ მასზე ჩვენი სოფლელები.

მანანა მთელი მონდომებით იღწვის იმისათვის, რომ ომგადახდილებმა ჯანმრთელად ვიცოცხლოთ. ვისაც ბრძოლის ველზე მტერთან შერკინებისას ჭრილობა მიუღია, მას არასოდეს დაავიწყდება იმ თეთრხალათიანთა გულის სითბო, მეომართა გადასარჩენად რომ ტრიალებდნენ ტყვიის წვიმაში და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ. ეს კარგად იცის მანანამაც და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ომის ვეტერანების მიმართ.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მანანა ექიმს მთელი სოფლის სახელით, თუმცა იმასაც ამბობენ, ექიმს ყოფილი პაციენტების მადლობა არ სჭირდებაო, ის ხომ თავის მოვალეობას ასრულებს, ადამიანის გადარჩენას პროფესია ავალებსო.

არა, ეს ძალზე უბრალოდ ნათქვამია!

ექიმობა პროფესია კი არა, უფრო მეტია, თვით სატანასთან — სიკვდილთან ბრძოლაა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს მანანას ამ ბრძოლაში.

**ვ. ჯამბურიძე,**

დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სოფ. მახაში.

### თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

# ასე გაგრძელება

სსრ კავშირის კონსტიტუციაში შავით თეთრზე წერია, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო კოოპერაციული საკუთრების ფორმით, რომ სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი შემდგომი ზრდის პირობებს, რომ არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენის და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას, რომ სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებაა.

მადლობა ღმერთს, ხალხი თავისი თვალით ხედავს, რომ ზემოთ აღნიშნულის აღსრულება არასამართლებრივ სახელმწიფოში ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. მთელი მსოფლიოს გასაგონად გავყვიროდით ჩვენი დიადი სამშობლოს მიღწევებზე, წარმატებებზე. ეს იყო აშკარა თავის მოტყუება, რადგან ვერ შევძელით დანარჩენი მსოფლიო დაგვერწმუნებინა ჩვენს ყოვლისშემძლეობაში, სოციალიზმის უპირატესობაში.

ვერ აიტანა ტყუილი ქვეყნის მარჩენალმა სოფელმა, მიწა იყო, არის და იქნება ჩვენი არსებობის საფუძველთა საფუძველი. ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა, ჩვენ კი სწორედ ეს ჭეშმარიტება უარვყავით. არასოდეს ქართველი კაცი ისე უსულგულოდ არ მოქცევია თავის მარჩენალს, როგორც ამ ბოლო 40 წლის მანძილზე. ყოველი მიზეზი შედეგთან მჭიდრო კავშირშია. შევეცადოთ ავხსნათ, რატომ უღალატა ქართველმა გლეხმა თავისი ოჯახისა და ქვეყნის დამრჩენელ მიწას და რა შედეგი მივიღეთ.

როგორც ვიცით, საბჭოეთის II ყრილობამ ლენინის მოხსენების საფუძველზე მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ. დეკრეტმა განსაზღვრა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ახალი პრინციპები. სხვა სიტყვებით, რომ ეთქვათ, გაუქმდა მიწის კერძო საკუთრების უფლება, აიკრძალა მისი ნასყიდობა, იჯარით გაცემა და დაგირავება. მთელი მიწა გამოცხადდა სრულიად სახალხო კუთვნილებად, ე. ი. გადაიქცა სახელმწიფო საკუთრებად. ყოველივე ეს მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების პირველი დღიდანვე.

მოვიშველიოთ სტატისტიკა: 1913 წელს საქართველოში არსებული ნათესი ფართობების საერთო მოცულობა 747,4 ათას ჰექტარს შეადგენდა. 1924 წლისათვის 542,7 ათას ჰექტარამდე შემცირდა. დღეისათვის კი ეს რაოდენობა კიდევ 13 ათასი ჰექტარით არის შემცირებული.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-12 მუხლში წერია, რომ „კოლმეურნეობები ისევე, როგორც სხვა მიწათმოსარგებლენი, ვალდებული არიან ეფექტიანად იყენებდნენ მიწას, უფრთხილდებოდნენ მას, ზრდიდნენ მის ნაყოფიერებას.“

ისევ სტატისტიკა: უკანასკნელი 35 წლის მანძილზე საქართველოში სავარგულები 711,9 ათასი ჰექტარით შემცირდა, 50-იან წლებში საქართველოში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 0,4 ჰექტარი მიწა მოდიოდა, 1985 წლისათვის 0, 18 ჰექტარამდე შემცირდა, მიზეზად მოსახლეობის ზრდას ვერ დავასახელებთ. ქართველი მიწით სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

რესპუბლიკა ყოველწლიურად კარგავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის 20-30 პროცენტს ეროზირებული, დამლაშებული და ჩამორეცხილი ნიადაგების გამო. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების უსისტემო გამოყენების გამო გაუარესდა ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური მდგომარეობა, ნაკლები ყურადღება ექცევა მორწყვას. მიმდინარეობს საქართველოს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების დეგრადაცია. საძოვრები დანაგვიანებულია პირუტყვის კვებისათვის გამოუსადეგარი მომწამლავი მცენარეებით.

მიწას პატრონი სჭირდება! ზოგიერთი ვაიმეცნიერი მოითხოვს მიწა დაიცვას არასაუწყებო სახელმწიფო სამსახურმა, რომელსაც უნდა ჰქონდეს რეალური უფლებები. განა აქამდე არ იყო არასაუწყებო სახელმწიფო სამსახური, მაშ რაღას ელოდებოდა?!

იქნებ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები გამოდგნენ მიწის პატრონებად?

ზემოთ მოვიყვანეთ სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკის მიწის რესურსების თაობაზე. შეგვიძლია ანალოგიური მაგალითი ვაჩვენოთ ცაგერის რაიონზე. 1950 წელს რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენდა 23478 ჰექტარს. 1985 წლისათვის კი 18171 ჰექტარს. კიდევ უფრო უარესია 1989 წლის მონაცემები.

სახნავი მიწების ფართობი 1950 წელს შეადგენდა 9235 ჰექტარს, 1985 წელს კი 2596 ჰექტარს.

წარმოებულ პროდუქციაზე შეგნებულად არაფერს ვიტყვი, რადგან მე რომ ციფრები მოვიყვანო, ის ციფრები სტატის-

# სასკოლო განათლების კონცეფციის შუქზე

## ღრმად დავეუფლოთ მშობლიურ ენას

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე რთულმა და საინტერესო პროცესებმა თავისთავად მოითხოვა სასკოლო განათლების სისტემის სახეცვლილება. ჩვენი დღევანდელი სკოლა გარკვეულად ჩამორჩა დროს. იგი სათანადოდ ვერ ემსახურება ჩვენი ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სასიცოცხლო ინტერესებს. დღეს კი, როცა ეროვნული სული ასე აღზევებულია, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, სკოლა სისხლხორცეულად გამოხატავდეს ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას.

ყოველივე ამის გამო ჩვენი საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციამ, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა პრესაში.

ამ კონცეფციის მიხედვით საქართველოს სკოლის ორგანიზაციის ფორმებსა და მის ფუნქციონირებას განსაზღვრავს ქართველი ერის ნება და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები. ეს კი ამ კონცეფციის უპირველეს ღირსებას წარმოადგენს. მისი მიზანია მამულიშვილთა აღზრდა. ეს გულისხმობს საქართველოს ერთგული და პატივისმცემელი მოქალაქის, მშრომელი, განსწავლული, თავისუფლად მოაზროვნე, კაცთმოყვარე, მაღალზნეობრივი, მშვენიერების აღმქმელი და ჯანმრთელი პიროვნების ჩამოყალიბებას. მოზარდში სრულად უნდა გამოვლინდეს და შესაბამისად განვითარდეს მისი პიროვნული ნება და შესაძლებლობანი, რაც მას მოამზადებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, კაცობრიობის, ერის, საზოგადოების, ოჯახის, სხვა ადამიანის სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის. საქართველოს სკოლის აღზრდილი თავს უნდა გრძნობდეს როგორც საკუთარი ერის, ისე კაცობრიობის ძლიერი და ინტელექტუალური მონაპოვრების ღირსეულ მემკვიდრედ.

კონცეფცია მოწოდებულია, ყოველმხრივ გაითვალისწინოს და ხელი შეუწყოს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, ჰარმონიულად შეუხამოს ერთმანეთს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესები, ყველა პირობა შექმნას მოზარდის ზნეობრივი და პროფესიული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კონცეფციის მიხედვით საქართველოში ყველა მოსწავლე ეუფლება რესპუბლიკის სახელმწიფო ენას—ქართულს, სწავლობს საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ტრადიციებს, ეზიარება კულტურას, ქართველი ერის სულიერ ღირებულებას. ეს მიზნად ისახავს ქართველ მოსწავლეებში ეროვნული ცნობიერების გაღრმავებასა და განვითარებას, ქართული კულტურული სამყაროს წევრად მის ჩამოყალიბებას.

კონცეფცია შედგება 4 პუნქტისაგან: ზოგადი ნაწილი, სკოლის სტრუქტურა, სასკოლო განათლების შინაარსი, სკოლის ორგანიზაცია. პრინციპულად იცვლება სკოლის სტრუქტურა და სასკოლო განათლების შინაარსი.

სასკოლო განათლების შინაარსი კონცეფციის ძირითადი ნაწილია. აქ განისაზღვრება თითოეულ საფეხურზე მოსწავლის ცოდნის მოცულობა, მისი „პედაგოგიური პორტრეტი", შესასწავლი საგნების არსი, სასწავლო პროცესის ორიენტაცია და პრინციპები. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას კონცეფციის მიხედვით კვლავ საგანგებო ყურადღება ექცევა. ენის სწავლების ამოცანას წარმოადგენს ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის გამომუშავება, ამ ამოცანასთან დაკავშირებული გრამატიკული საკითხების შესწავლა, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის დაუფლება, კონცეფცია აუცილებლად მიიჩნევს ასომთავრულის შესწავლას, ქართველური, კავკასიისა და მსოფლიო ენების შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღებას, სტილისტიკისა და ლექსიკის საკითხების ცოდნას. ლიტერატურასთან ერთად განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება ფოლკლორის სწავლებაზე, რაც დღეს მოქმედი პროგრამების მიხედვით უგულებელყოფილია. ფოლკლორი შესწავლილი უნდა იქნეს საკუთრივ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. ქართული ლიტერატურის ძირითადი იდეების შესათვისებლად და ლიტერატურული გემოვნების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ახალ და უახლოეს ქართულ ლიტერატურასთან ორგანულ მთლიანობაში როგორც ძველი ქართული სასულიერო მწერლობის, ისე ბიბლიური ტექსტების თარგმანების მიზანმიმართული სწავლება.

საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია განხილვის პროცესშია. გამოითქმება შენიშვნები, სურვილები, მალე, ალბათ, იგი საბოლოოდ დაიხვეწება. გვჯერა, რომ კონცეფცია სრულყოფილად გამოხატავს ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

**მ. ჩარხიანი,**

**ჩხუტელის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.**

## ეკოლოგიური ბიულეტენი

ვანაირად: მაღალტოქსიკური ნ... ერთები იწვევს მწვავე და ქრონიკულ მოწამვლას, ქმნის ალერგიული დაავადებების ... ველს. უარყოფით გავლენას ახ-...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუფთა ეკოლოგიური გარემოსათვის

დღევანდელ გამწვავებულ ეკოლოგიურ სიტუაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ისეთი მეთოდების შერჩევას, რომლებიც ნაკლებ დააბინძურებს გარემოს. არადა ბრძოლის ქიმიური მეთოდების მასობრივმა გამოყენებამ დააბინძურა წყალი, ჰაერი, ნიადაგი, გაანადგურა სასარგებლო მწერები. მეცნიერება დადგა საოცრად ფაქტების წინაშე— გამოყენებული პესტიციდები (შხამ-ქიმიკატები) კუმულაციის თვისებების გამო აღმოჩნდა ანტრაქტიდის პინგვინებში და არქტიკის თეთრ დათვებში.

მცენარეთა მავნებელ-დაავადებებით გამოწვეული მსოფლიო ზარალი ყოველწლიურად შეფასებულია 74,9 მილიარდი დოლარით, რომელიც შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 50 პროცენტს.

ბოლო წლებში პესტიციდების გამოყენებამ ჩვენს რესპუბლიკაში სტიქიური ხასიათი მიიღო. მათი არანორმალური ხარჯვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რამაც გამოიწვია უაღრესად კრიზისული ვითარება.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში პესტიციდების გამოყენება მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ სოფლის მეურნეობის დარგისათვის ყველაზე რენტაბელური და მისაღები იყო. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთი მიდგომა მცდარია როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მეცნიერთა ღრმა გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე პესტიციდები მოქმედებენ სხვადასხვანაირად: მაღალტოქსიკური ნივთიერებები იწვევს მწვავე და ქრონიკულ მოწამვლას, ქმნის ალერგიული დაავადებების ... ველს. უარყოფით გავლენას ახდენს გამრავლებაზე.

სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდები დიდხანს ინარჩუნებენ მაღალტოქსიკურ თვისებებს, გროვდებიან ნიადაგში, წყალში, ჰაერში, აქტიურად ებმებიან რთულ ბიოლოგიურ ციკლში. მიუხედავად ამისა არ შეიძლება საერთოდ ვთქვათ უარი პესტიციდების გამოყენებაზე. საჭიროა დავიცვათ ზომიერება.

ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირში, აკრძალულია ადამიანისა და გარემოსათვის საშიში პესტიციდების გამოყენება, გაძლიერდა სამედიცინო კონტროლი სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების ნაშთის შემცველობაზე, შემოღებულია მცენარეთა დამუშავების ვადების და პრეპარატთა ხარჯვის ნორმის მკაცრი რეგლამენტაცია.

ძირფესვიანად შეიცვალა მავნე მწერებთან ბრძოლის მეთოდები, რაც განაპირობა ბუნების დაცვის დღევანდელმა მდგომარეობამ, ეკოლოგიურმა კრიზისმა, უპირატესობა ენიჭება ე. წ. გენეტიკურ ბრძოლას—ფერომონებით და მიკრობიოლოგიური პრეპარატებით. რეკომენდებულია ნაკლებად ტოქსიკური და ადამიანისათვის მთლიანად უვნებელი ბიოლოგიური საშუალებანი, მიკრობიოლოგიური პრეპარატები: ლეპოდოციდი, ბიტოქსიბაცილინი, დენდრობაცილინი მღრღნელი მავნებლების—კვირტის ჭიის, ყურძნის ჭიის, ვაშლის ნაყოფჭამიას, ოქროკუდას წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრეპარატები არასაკმარისი რაოდენობით შემოდის რაიონში.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# აღარ შეიძლება

ტიკიდან უნდა ავიღო. ეს კი ხალხის მოტყუება იქნება.

ახლა კი ჩავიხედოთ მშრომელი კაცის გულში, ოჯახსა და ჯიბეში. მე განსაკუთრებით მაინტერესებს მაღალმთიანი სოფლების გლეხობა. ჩვენებური გლეხის ჯიბე მუდამ ცარიელია კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წყალობით, რადგან თვეში საშუალო შემოსავალი 50 მანეთს არ აღემატება, კაცის შენახვას თვიდან თვემდე კი (გამოიანგარიშეს ჩვენმა მეცნიერებმა) სულ ცოტა 800 მანეთი მაინც უნდა დღევანდელ პირობებში, ამიტომ გლეხის ოჯახიც დაცარიელდა, შრომისუნარიანმა კაცმა დატოვა სოფელი და მიხედვაც აღარ უნდა მისკენ, აბა, ვცადოთ და გლეხის გულში ჩავიხედოთ, ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც ვცადოთ. იქ დაინახავთ უზომო ტკივილს, ტკივილს სიღარიბისას, ტკივილს მიწის სიყვარულის განელებისას და ბოლოს ყველაზე საშინელს— რწმენადაკარგულ ადამიანს, რომელსაც აღარ სჯერა, რომ ამ უკუღმართად წასულ ქვეყანას რაიმე შემოაბრუნებს.

აკაკი ბაქრაძე ბრძანებს, ველოსიპედს გამოგონება აღარ სჭირდება, ის უკვე გამოგონილიაო. ე. ი. არსებობს გამოსავალი, საჭიროა უპირველეს ყოვლისა სოფლად მთელი ეკონომიკის მართვის უფლება გადაეცეთ რესპუბლიკებს, შეიქმნას სათანადო პირობები, რათა მიწის შესახებ კანონიდან დაწყებული მთელი აგრარული ურთიერთობები მართონ მათ. ეს კი შეუძლებელია, სანამ საქართველო არ იქნება დამოუკიდებელი ერთეული. უნდა შევიგნოთ, რომ საჭიროა სერიოზული და დიფერენცირებული მიდგომა. ისეთ უზარმაზარ იმპერიაში, როგორიც საბჭოთა კავშირია, მიწის ერთიანი კანონის მიღება შეუძლებელია. ე. ი. საჭიროა თავისუფლება, თავისუფლებას კი არავინ იძლევა, მის მიღწევამდე საჭიროა ბრძოლა და თავდაუზოგავი შრომა. აგრარული საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე რეალური შანსია გლეხური მეურნეობის შექმნა. მიწა უნდა გადაეცეს გლეხობას კერძო საკუთრებაში მემკვიდრეობის უფლებით. გლეხს ოღონდ მიწა მიეცი და ედემის ბაღს გააშენებს, ზოგიერთი სოფლის ზარმაცი მხედველობაში მისაღები არ არის, ხოლო ვინც სოფლიდან გავაქციეთ, მათ სოფლად მობრუნებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი ზედმეტია. ახლა კარგად უნდა იქნეს გათვლილი, როგორ გადაეცეს მიწა გლეხობას, აქ გაჩნდება ბევრი წინააღმდეგობა, მაგრამ კოლექტივიზაციის დამკვიდრების დროს რომ წინააღმდეგობა იყო, ისეთს აღარ უნდა წავაწყდეთ. ერთი სიტყვით, მიწას უნდა დაედოს ფასი. აი, როდის გაუჩნდება მიწას ნამდვილი პატრონი და მომვლელი.

ცაგერის რაიონის მცხოვრებთა უმრავლესობა წაიკითხავდა ალბათ 1989 წლის 28 დეკემბრის ადგილობრივ გაზეთში სოფ. ზარაგულაში მცხოვრებ გიზო კოპალიანის წერილს „მთის სოფლის სახელით". სადაც ნათლად ჩანს ლეჩხუმელი გლეხკაცის გულისტკივილიც და ის უტყუარი ალღოც, თუ რა გადაარჩენს სოფელს. ბატონი გიზო გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ზარაგულელი კოლმეურნე ვერ ახერხებს კოლმეურნეობის კრებაზე დასწრებას გზის უვარგისობის და სიშორის გამოო. გეთანხმებით, რომ გლეხური მეურნეობა იქნება სოფლის სიკეთის მომტანი, ყველა სოფელი მიხედავს საკუთარ გზას, წყალსა და მიწას. ის წინააღმდეგობა კი, რაც გლეხური მეურნეობის დანერგვის გზაზე დაგვხვდება უნდა დაიძლიოს ერთსულოვნებით. კოლმეურნეობებისა და მეურნეობების არსებობის გაგრძელება არის დანაშაული, რასაც ადასტურებს მრავალწლიანი პრაქტიკა.

**ნ. ახვლედიანი,**

**ეკონომისტი, ლეჩხუმის სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი.**

### ქმედითობა

## „ისევ ფუნთუშას შესახებ"

ჩვენი გაზეთის გასული წლის 7 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ისევ ფუნთუშას შესახებ", რომელშიც ავტორი გამოხატავს გულისტკივილს იმის გამო, რომ კომბინატის დირექციამ მიუხედავად წერილის მეორეჯერ გამოქვეყნებისა არ გაითვალისწინა მომხმარებელთა ინტერესები და ნაცვლად ფუნთუშასი („ბულკი") კვლავ აცხობენ ძვირადღირებულ კექსის მაგვარ ფუნთუშას.

ამასთან დაკავშირებით გაზეთს უპასუხა პურკომბინატის დირექტორმა მ. გოგიძემ. იგი გვწერს: წერილში მოყვანილი ფაქტი სწორია. წარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საზაფხულო არდადეგების პერიოდში დაწყებული იქნა „ფუნთუშას" ნაცვლად ასაწონი კექსის „საგაზაფხულოს" გამოშვება. ამჟამად პურკომბინატი აწარმოებს კვლავ ფუნთუშას შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ საწარმოო სიმძლავრის უკმარისობის გამო სრულიად ვერ ხერხდება ფუნთუშათი მოსახლეობის დაკმაყოფილება.

# სუფთა ეკოლოგიური გარემოსათვის

(დასასრული).

მცენარეთა დაცვის ახალ კონცეფციაში დიდი ადგილი ეთმობა მავნე მწერების წინააღმდეგ ინტეგრირებული სისტემის გამოყენებას. დღეს, როცა ეკონომიკა გადადის ინტენსიფიკაციის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების რელსებზე, მცენარეთა დაცვის განყოფილება წარმოებაში გავიდა ბრძოლის ინტეგრირებული სისტემით, რომელიც გულისხმობს ეკოსისტემებში სასარგებლო და მავნე ორგანიზმების ურთიერთრეგულირებას და აგროეკოსისტემის მართვას წინასწარ შედგენილი მეთოდების მიხედვით, რომელთა მაღალი ეფექტი დამტკიცებულია 10-15 წლების ექსპერიმენტული და საწარმოო ცდებით. ინტეგრირებული ბრძოლის სისტემა ყოველი დახარჯული მანეთიდან გვაძლევს 20 მანეთის უკუგებას. მაგრამ აღწევენ თუ არა მეცნიერები მიზანს? ზოგიერთი კოლმეურნეობის აგროპერსონალი თვითონ არის დაინტერესებული და იწვევს მეცნიერ-მუშაკებს, დებენ ხელშეკრულებას, ეხმარება, ხელს უწყობს მათ ღონისძიებების გატარებაში. დასაფიცი არაა, რომ ზოგან აგროპერსონალი მცირედაც ვერ ფლობს პესტიციდებთან მუშაობის კულტურას. ადგილი აქვს პესტიციდების არასწორად და არამიზანდასახულ გამოყენებას, ხარჯვის ნორმების და ვადების დარღვევას. იწამლება ვაზი ფოსფორორგანული პრეპარატებით მავნებლის არარსებობის დროსაც კი. ბორდოული სითხის გაზრდილი კონცენტრაციებით უსისტემო და ხშირმა წამლობებმა კატასტროფულად გაადიდა გარემოში სპილენძის დაგროვება. წამლობის ტექნოლოგიების დარღვევამ წლების მანძილზე—ზოგიერთი მავნებელდაავადებების მოსპობის ნაცვლად გამოიწვია მისი გაძლიერებული გავრცელება, ამიტომ საჭიროა კიდევ მეტად გაიზარდოს კონტაქტები მეცნიერებასა და წარმოების მუშაკებს შორის, რათა წარმოებაში სწრაფად დაინერგოს თანამედროვე ეკოსისტემისათვის უვნებელი მეთოდები.

**ნ. შალამბერიძე,**

**საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

# ტიუმენის ძრავათმშენებელთა ტრაქტორი



ტიუმენის ძრავთმშენებელი გაერთიანების ინჟინერთა ჯგუფმა გააკეთა ის, რაზეც სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებს დიდი ხანია ხელი არ მიუწვდებათ — ტრაქტორი-ცეროდენა.

ყველაფერი კი ხუმრობა-თხოვნიდან,—შეემსუბუქებინათ მათი შრომა საჯინიბოში, — დაიწყო, რომლითაც მიმართეს ქარხნის საცხენოსნო-სპორტული სკოლის მწრთვნელებმა. კონსტრუქტორები ვ. გლუხოვი, ვ. გრაციანოვი და ვ. ჩერნოპაზოვი გამოეხმაურნენ ამ თხოვნას და გაჩნდა ტრაქტორის პირველი ვარიანტიც. ასეთი „სათამაშო" მანქანა გამოსადეგია ტვირთის საამქროსშიდა გადაზიდვისათვის—ნებისმიერ ხვრელში გაძვრება, ციცქნა მოედანზეც შემოტრიალდება. მძღოლისათვის რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო, სატვირთო ბაქანი წინ მოათავსეს. შემდეგ კი დაიბადა აზრი შეექმნათ გლეხის დამხმარე მანქანა. ასეთი ტრაქტორი ხომ პირად მეურნეობაშიც საჭიროა და მოიჯარეებსაც გამოადგებათ.

სიახლეთა წარმოებისათვის ძრავთმშენებლებმა სპეციალური კორპუსი ააგეს.

სურათზე: ტრაქტორზე დანას თუ დავამაგრებთ, იგი ბულდოზერად იქცევა.

ვ. კოროტაევის ფოტო

საქდესის ფოტოქრონიკა.

ჩვენს რესპუბლიკაში

## ახალი ფორმირება

ხაშურის რაიონში შეიქმნა გლეხთა კავშირი. იმ ამოცანათა შორის, რომლებიც იკისრა ახალმა საზოგადოებრივმა ფორმირებამ, არის მოიჯარეთა ინტერესების დაცვა, შრომითი დავის განხილვა, რომელიც ხშირად წარმოიშობა ხოლმე მოიჯარეებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის.

— მეტად ხშირია შემთხვევები, — ამბობს კავშირის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ფრიდონ გელაშვილი, — როცა მეურნეობათა ადმინისტრაციები დასაწყისში არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მოიჯარეებს მოურიდებლად ატყავებენ. ამათ კი საკუთარი თავის დაცვა უჭირთ. გლეხს ყოველი წუთი გამოთვლილი აქვს, იგი უყაირათოდ არ ხარჯავს მას. ხოლო თუ გაგიჭირდა, შეიძლება კიდევაც წააგო,—ეშინია მიწათმოქმედს. მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

(საქინფორმი).

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.


## განცხადება

ცაგერის რაიონში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის გამოყოფილია საცხოვრებელი სახლები ბოლნისის რაიონის ქ. ბოლნისში.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასოფლო საბჭოებსა და რაიონული საბჭოს აღმასკომს.

**სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომი.**

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ციცინო ნემსწვერიძეს**

**სოზარ იმნაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სილამაზე, სიხარული დაგბედებოდეთ. ჰერმაღალი და ფუძძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.**

## გილოცავთ

**ირინე დადაშის ასულ გიორგობიანს**

**რობერტ კარლოს ძე გოდოლაძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისთვის სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს და-ძმები.

**ვეტლაბორატორიის თანამშრომლები**


დედა ნაზიკო, მამა ბიჭიკო, ძმა თენგიზი, დები ლამარა, მანანა, მამიდა გოგუცა, დეიდა ლოლა, ბიძები დადაში, ოთარი, ჯუმბერ, ბუჭუ, ვალერი, სიძეები ემზარ, გოგი, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით (დათო) ბიჭიკოს ძე ფოჩხიძე.**

დაკრძალვა კვირას, 4 თებერვალს, სოფ. ჩხუტელში.

---

ნარგიზა, შოთა, ზაურ, ნოდარ ყურაშვილები, ჯანიკო ფოჩიანი თანაუგრძნობენ ოლია, ყორა ყურაშვილებს დისა და დეიდის

**დაშა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო და ჭალისთავის დაწყებითი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ვალენტინა კოპალიანს და ლილი ლარცულიანს დისშვილისა და დეიდაშვილის

**ლუიზა ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯონი ხალიანი, თამაზ, რამაზ კოპალიანები, მირზა ლიპარტელიანი, თამაზ ჩაკვეტაძე, სოზარ კვირკაშვილი, ზაზა ყურაშვილი, ზურაბ ჯამბურიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო შამილ ლარცულიანებს დეიდაშვილის

**ლუიზა ტრიფონის ასული ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

და ოლია, დისშვილი ყორა ყურაშვილი, სიძეები მერაბ კენჭაშვილი, ბახვა ბენიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დაშა ახვლედიანი.**

---

რძლები გოგუცა, ინეზა, კლავდია, ძმისშვილები ავთო, ასმათ ალავიძეები, სიძე თამაზ კაბოსნიძე, ძმისშვილისშვილები ანა, რუბენ ალავიძეები, ნუგზარ, მამუკა კაბოსნიძეები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფედოსი ნესტორის ასული ალავიძე**

დაკრძალვა შაბათს, 3 თებერვალს, სოფ. საირმეში.

---

თინა, შალვა, ამირან ფოჩხიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დათო ფოჩხიძე.**

---

ბარდნალის საშუალო სკოლის 1977 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნაზი სილაგაძე თანაუგრძნობენ სოსო ბენიძეს დედის

**ცაცა ბენიძის**

გარდაცვალების გამო

---

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ იური გიორგობიანს დეიდის

**ოლღა დავითულიანი-ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯოკია შკუბულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**დაშა ანტონის ასული ახვლედიანი.**

---

შვილები შოთა, ნოდარი, რძლები ლოლა, სონია, ნაზი, ფოთოლა, დები მარო, ბაბილო, ძმა კირილე გოდერიძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, სიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა გოდერიძე-უგრეხელიძე.**

დაკრძალვა 3 თებერვალს, შაბათს, სოფ. ოყურეშში.

---

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსიკო სილაგაძეს ბიძის

**ლონგინოზ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა, დავით, ედიშერ ფოჩხიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დათო ფოჩხიძე.**

---

დავით კოპალიანი, ვლადიმერ დავითულიანი, შამშე, შამილ ლარცულიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუიზა ხაბულიანი.**

---

ჯუმბერ, ზაურ მეშველიანები ავთო, გიგლა მეიფარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა ლომთაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალექსანდრე ონიანი, ნოდარ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დაშა ანტონის ასული ახვლედიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №58. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებებს: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461
საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.